



შემოსავლების
სამსახური

2013 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში



თბილისი 2014 წ.



შემოსავლების სამსახური საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით აქტიურად მონაწილეობდა:

- ერთი მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების დადების მიზნით წარმოებულ მოლაპარაკებაში;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივით მიმდინარე პროგრამებში;
- საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით ინიცირებულ პროექტებში;
- თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების ორმხრივ და მრავალმხრივ პროექტებში.

2013 წელს დასრულდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის მოლაპარაკებები, ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში. შედეგად, შემოსავლების სამსახურის კომპეტენციის გათვალისწინებით, განისაზღვრა საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შემდეგ დირექტივებთან:

- 2006 წლის 28 ნოემბრის საბჭოს დირექტივა N2006/112/EC დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო სისტემის შესახებ;
- 1986 წლის 17 ნოემბრის საბჭოს მეცამეტე დირექტივა N86/560/EEC წევრ სახელმწიფოთა იმ კანონების ჰარმონიზაციის შესახებ, რომლებიც ეხება ბრუნვის გადასახადებს – ღონისძიებები დამატებული ღირებულების გადასახადის დაბრუნების მიზნით იმ გადასახადის გადამხდელებისთვის, რომლებიც არ არიან დაფუძნებულნი გაერთიანების ტერიტორიაზე;
- 2011 წლის 21 ივნისის საბჭოს დირექტივა N2011/64/EU წარმოებული თამბაქოს აქციზის გადასახადის სტრუქტურისა და განაკვეთების შესახებ;
- 2007 წლის დეკემბრის საბჭოს დირექტივა N2007/74/EC მოგზაურთა დასაშვები ლიმიტების შესახებ;
- 2003 წლის 27 ოქტომბრის საბჭოს დირექტივა N2003/96/EC ევროგაერთიანების ფარგლებში ენერგოპროდუქტებისა და ელექტროენერგიის დაბეგვრის ჩარჩოს რესტრუქტურისაციის შესახებ;
- 1992 წლის 19 ოქტომბრის საბჭოს დირექტივა N92/83/EEC ალკოჰოლსა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის გადასახადის სტრუქტურის ჰარმონიზაციის შესახებ;
- 2008 წლის 16 დეკემბრის საბჭოს დირექტივა N2008/118/EC აქციზის გადასახადთან დაკავშირებული ზოგადი ღონისძიებებისა და N92/12/EEC დირექტივის გაუქმების თაობაზე.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში განისაზღვრა საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შემდეგ რეგულაციებთან:

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსი (საბჭოს რეგულაცია №2913/92);
- „იმპორტის გადასახდელებისგან გათავისუფლების ერთიანი სისტემის შექმნის შესახებ“ საბჭოს დირექტივა №1186/2009;
- „ერთიანი ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ 1987 წლის 20 მაისის კონვენცია;
- ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტი (SAD) – „საქონლით ვაჭრობის ფორმალობების გამარტივების შესახებ“ 1987 წლის 20 მაისის კონვენცია;

- ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული საბაჟო ღონისძიებების აღსრულების შესახებ ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2013 წლის 12 ივნისის რეგულაცია N608/2013.
 - ✓ ასოცირების შეთანხმების (მათ შორის, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების) პარაფირებული ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://eeas.europa.eu/georgia/assoagreement/assoagreement-2013_en.htm.

შემოსავლების სამსახურში დაინერგა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებებით გათვალისწინებულ გადასახადებთან დაკავშირებით, ინფორმაციის ავტომატური გაცვლის სისტემა. აღნიშნული სისტემა ითვალისწინებს პარტნიორი საგადასახადო ადმინისტრაციებისთვის, ყოველწლიურად, ნაცვალგების პრინციპზე დაყრდნობით, მათი რეზიდენტების მიერ საქართველოში მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მიმდინარეობდა:

- მოლაპარაკებები საერთაშორისო შეთანხმებებზე საგადასახადო სფეროში ინფორმაციის გაცვლასა და ადმინისტრაციულ ურთიერთდახმარებასთან დაკავშირებით ბელარუსთან, ლიბიასთან და ყაზახეთთან;
- მოსამზადებელი სამუშაოები საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების ხელშეკრულებების გაფორმების თვალსაზრისით შემდეგ ქვეყნებთან: ბელარუსი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, იორდანია, თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, შვეიცარია, ბრაზილია, არგენტინა, სამხრეთი კორეა, აშშ, სამხრეთი აფრიკა, არაბთა გაერთიანებული საამიროები, მექსიკა.





საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელებული პროექტები:

დასრულდა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის I („დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა“) პლატფორმის საზღვრის ინტეგრირებული მართვის საფლაგმანო ინიციატივის საპილოტე პროექტი - საქართველოსა და სომხეთს შორის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე „ნინოწმინდა–ბავრა“ საზღვრის მართვის შესაძლებლობების გაძლიერება. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები და შემოსავლების სამსახურს გადმოეცემა გამშვები პუნქტისათვის სატრანსპორტო საშუალების და ტვირთის რენტგენული მობილური საინსპექციო სისტემა. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ღირებულება შეადგენდა 1225000 ევროს.

დასრულდა დაძმობილების პროექტი „საბაჟო და სანიტარიული-ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის სისტემის გაძლიერება საქართველოში“. პროექტის მიზანი იყო საქართველოში საბაჟო საზღვრის კვეთისა და სანიტარიული-ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის სისტემის გაძლიერება. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დაძმობილების პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენდა 1,8 მილიონ ევროს.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა USAID-EPI-ის მხარდაჭერით დასრულდა საბაჟო საზღვრის კვეთისა და გაფორმების პროცედურების დროს გახარჯული დროის გაზომვა (დაფინანსება USAID-EPI-ის მხრიდან - \$ 38800).

მსოფლიო ბანკის ჯგუფის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ტექნიკური დახმარებით დასრულდა საბაჟო ავტომატიზებული სისტემების განახლება: ASYCUDA world-ის (ასიკუდა ვორლდ)



საბაჟო გამშვები პუნქტი «სარფი»


ახალი გაუმჯობესებული ფუნქციების მექანე ვერსიის დანერგვა (მსოფლიო ბანკის ჯგუფის საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია \$100000).

აშშ-ის ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამა (EXBS) სასაზღვრო უწყებების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის უკანონო გადაადგილების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის, საქართველოს მთავრობის ხელშეწყობას ითვალისწინებს. ამ მიზნით, EXBS-მა შემოსავლების სამსახურს შესაბამისი სახსრები გამოუყო, რითაც დაფინანსდება ტრენინგები, ექსპერტიზები და

სხვადასხვა აღჭურვილობის შეძენა. გარდა ამისა, EXBS-ი საქართველოს დახმარებას უწევს ექსპორტის კონტროლის კანონმდებლობის ეფექტურობის გაზრდის საკითხში.

აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, 2013 წელს შემოსავლების სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი პროექტის განხორციელება დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ბაზაზე, საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის გამოვლენის მიზნით, უწყებათაშორისი ჯგუფის შექმნას, კინოლოგიების გადამზადებას და ნარკოტიკებზე გაწვრთნილი ძალების შემოსავლების სამსახურისათვის გადაცემას.

2012 წელს დაინერგა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა (WCO) და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტი – კონტეინერების კონტროლის პროგრამა, ხოლო 2013 წელს გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის“ ბაზაზე გაიხსნა კონტეინერების კონტროლის დანაყოფი.





დამტკიცდა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის I („დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა“) პლატფორმის საზღვრის ინტეგრირებული მართვის საფლაგმანო ინიციატივის საპილოტე პროექტი – სომხეთსა და საქართველოს შორის სასაზღვრო გამშვები პუნქტის „ბაგრატაშენი–სადახლო“ ტექნიკითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვა და სასაზღვრო პროცედურების გაუმჯობესება. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია საბაჟო გამშვები პუნქტისათვის სატრანსპორტო საშუალების და ტვირთის რენტგენული მობილური საინსპექციო სისტემის შეძენა და ტრენინგები. ევროკავშირის მხრიდან საქართველოსათვის გამოიყო 1416600 ევრო, შემოსავლების სამსახურის მხრივ, თანადაფინანსების ფარგლებში გადასახდელია 283400 ევრო.

USAID-EPI-ის მხარდაჭერით, შემუშავდა და დამტკიცდა მედიაპროექტი, რომელიც გადასახადების, ასევე საგადასახადო და საბაჟო მიმართულებების შესახებ მედიისათვის საბაზისო ინფორმაციის მიწოდებას ითვალისწინებს. პროექტის მიზანია: შემოსავლების სამსახურის საქმიანობის პოზიციონირების გზით, საგადასახადო კულტურის ფორმირების ხელშეწყობა; საზოგადოების საგადასახადო ვალდებულებებთან მიმართებაში დროული და ეფექტური ინფორმირება და ამ გზით როგორც საგადასახადო სამართალდარღვევებთან პრევენცია, ასევე ეფექტური ადმინისტრირების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს შემოსავლების სამსახურის შიდა და გარე საკომუნიკაციო სტრატეგიაზე მუშაობა. პროექტს აფინანსებს USAID-EPI, რისთვისაც ორგანიზაციას გამოყოფილი აქვს 74880 ლარი.

მსოფლიო ბანკის ჯგუფის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მხარდაჭერით დამტკიცდა:

- საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ტექნიკური დახმარების პროექტი (\$40000);
- ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების განხორციელების ტექნიკური დახმარების პროექტი (\$40000);
- საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის ტექნიკური დახმარების პროექტი (\$40000);
- რისკების მართვის გაუმჯობესება ტექნიკურ კონტროლში (სურსათის უვნებლობა, სანიტარია, ფიტოსანიტარია და კარანტინი) ტექნიკური დახმარების პროექტი (\$60000);
- ტექნიკური კონტროლის პროცედურების გაუმჯობესება საზღვარზე და ქვეყნის ტერიტორიაზე (სურსათის უვნებლობა, სანიტარია, ფიტოსანიტარია და კარანტინი) ტექნიკური დახმარების პროექტი (\$50000);
- უწყებათაშორისი კოორდინაციის სრულყოფა სასაზღვრო კონტროლის გასაუმჯობესებლად ტექნიკური დახმარების პროექტი (\$25000).

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია მუშაობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურთან საგადასახადო ადმინისტრირების პროცედურების გამარტივებასა და საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებზე, კონკრეტულად:

- ✓ სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესებისა და პროცედურების დანერგვაზე;
- ✓ დღ-ით დაბეგვრის პროცედურების გამარტივებასა და დახვეწაზე;
- ✓ ეხმარება საქართველოს Global Forum-ის I და II ფაზის განხილვისათვის მომზადებაში.

აშშ-ის ხაზინის ტექნიკური დახმარების ოფისის მხარდაჭერით მიმდინარეობს პროექტი, რომლის ფარგლებშიც ხდება აუდიტორებისათვის ტრენინგების ჩატარება, მათი აუდიტორული უნარ-ჩვევების ამაღლება, „leed Sheet“-ების შემუშავება, მეთოდურ სახელმძღვანელოებზე მუშაობა, ანაზღაურების სისტემის დასახვეწად რეკომენდაციების მომზადება, მედიაციის პროცესების დახვეწა, შემოსავლების სამსახურის სტრატეგიის შემუშავებაში დახმარება.

მსოფლიო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით, ადგილზე არსებული სიტუაციის შესწავლის საფუძველზე, შემუშავდა რეკომენდაციები შემდეგი მიმართულებით:

- შემოსავლების სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტისთვის ვალების მართვის მექანიზმების შემუშავება და დაგროვილი სახელმწიფო ვალების ამოღების გზების მოძიება;
- მომსახურების დეპარტამენტის მიერ გადამხდელთა სეგმენტაცია და გადამხდელთა ინდივიდუალური ჯგუფების სპეციფიკისა და მოთხოვნების შესწავლა;
- დღგ-ის ზედმეტობების საკითხის შესწავლა (საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად).

USAID-EPI-ის მხარდაჭერით ხორციელდება საგადასახადო ნორმატიული საფუძვლების მიმოხილვა. მიმდინარეობს მუშაობა შემოსავლების სამსახურთან, რათა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად მომზადდეს საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები.

USAID-EPI-ის მხარდაჭერით მომზადდა ლიზინგის ოპერაციების დაბეგვრის მეთოდური სახელმძღვანელო (მანუალი). ამჟამად შემოსავლების სამსახური ამ სახელმძღვანელოს განიხილავს.

USAID-EPI-ის მხარდაჭერით მიმდინარეობს გადასახადების გადახდის გამარტივების პროექტი (ერთიანი სახაზინო კოდის პროექტი). მომზადდა საგადასახადო კოდექსში და კანონქვემდებარე აქტებში შესატანი ცვლილებების პროექტი. ამჟამად მიმდინარეობს ბიზნესრეინჟინერინგისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემოწმების/ტესტირების პროცესი.

დამტკიცდა (United Nations Development Account) „განვითარებადი ქვეყნებისთვის და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, მათი შესაძლებლობების გაუმჯობესება საზღვრის ლეგიტიმურად გადაკვეთის, რეგიონული თანამშრომლობისა და ინტეგრაციის საკითხებში“ მსოფლიო პროექტი. პროექტი ხელს შეუწყობს საბაჟო ადმინისტრაციებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებას და ელექტრონული შეტყობინებების საერთაშორისო სტანდარტების ეფექტურ გამოყენებას, კერძოდ, ტრანზიტის ოპერაციებში. პროექტი ხორციელდება გაეროს TIR სამდივნოს (გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისთვის) ზედამხედველობით და მისი ბიუჯეტი შეადგენს 750000 აშშ დოლარს.

დამტკიცდა დამძოვილების პროექტი „შემოსავლების სამსახურში საგადასახადო მიმართულებით ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება“. პროექტის განმახორციელებლად შეირჩა ავსტრიის ფინანსთა სამინისტრო. პროექტის ბიუჯეტია 1300000 ევრო, რომელიც მთლიანად ფინანსდება ევროკავშირის მიერ. პროექტის განხორციელება დაიწება 2014 წლის აპრილში.


პროექტი მოიცავს ევროკავშირის გამოცდილების გაზიარების შედეგად, შემდეგი მიზნების მიღწევას:

1. საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების გაუმჯობესებას, განვითარებას, დანერგვას;
2. არსებული ნორმატიული აქტების გადახედვას და ახლის შექმნას, ვალის მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით;
3. შემოსავლების სამსახურის შეთავაზებული მომსახურებების ფარგლებში პროცედურების გაუმჯობესებას, გადამხდელთა უფლებების მხარდაჭერის მიზნით;
4. ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, რეკომენდაციების მომზადებას დღგ-ს სისტემის ევროკავშირის სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
5. ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, რეკომენდაციების მომზადებას, აქციზის სისტემის ევროკავშირის სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანასა და „Council Directive 2007/74/EC of 20 December 2007 on travellers' allowances“ დირექტივის მე-3 ქვეთავის შესაბამისად კანონპროექტის მომზადებას;
6. შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების პროფესიული ზრდის მიზნით, ახალი ტექნიკების/უნარების დანერგვას.



მიზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით:

2013 წელს ძალაში შევიდა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმება სერბეთთან, სან მარინოსთან, ქუვეითთან და სლოვენიასთან, ასევე, შეთანხმების ოქმი ავსტრიასთან.



შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება პორტუგალიასთან და ხორვატიასთან რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ.

საკანონმდებლო ინიციატივები ლიბერალიზაციის მიმართულებით

2013 წლის 1 იანვრიდან ძალაშია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული ცვლილებების პაკეტი საგადასახადო კოდექსში, რომელიც მიმართულია სამართლიანი და ეფექტიანი ადმინისტრირებისთვის საჭირო სამართლებრივი ბაზის შექმნის, ბიზნესსექტორის ხელშეწყობის, ჯარიმებისა და სანქციების ლიბერალიზაციისკენ. ცვლილებათა აღნიშნული პაკეტის მომზადებაში აქტიურად იყო ჩართული ბიზნესსექტორი და ბევრი ინიციატივა სწორედ მათთან შეთანხმებით მომზადდა.

- დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ხელშეწყობის მიზნით, 2013 წელს საგადასახადო კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება დაუბეგრავი მინიმუმის შესახებ. შესაბამისად, 2014 წელს დაუბეგრავი მინიმუმით მოსარგებლე პირებს აქვთ შესაძლებლობა დაიბრუნონ საარსებო მინიმუმის ოდენობის ხელფასზე დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი 360 ლარამდე ოდენობით.
- შემსუბუქდა სანქციები საკონტროლო-სალარო აპარატისა და სასაქონლო ზედნადების გარეშე საქმიანობის წესების დარღვევისათვის, აგრეთვე დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისათვის.
- გადასახადის დაგვიანებით გადახდისათვის დადგენილი საურავის ოდენობა 0,07%-დან შემცირდა 0,06%-მდე.
- საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში, ფიზიკური პირის საბანკო ანგარიშიდან აღარ იჭრება დაუბეგრავი მინიმუმის ოდენობის თანხა და მას უფლება აქვს ყოველთვიურად განკარგოს ანგარიშზე დარჩენილი 150 ლარი. საგადასახადო დავალიანების იძულებითი გადახდევინება დაიწყება მხოლოდ საგადასახადო დავის დასრულების შემდეგ.
- ეტაპობრივად განხორციელდება საგადასახადო შემოწმების, გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადისა და სანქციის დარიცხვის, აგრეთვე, გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადის 3 წლამდე შემცირება. 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე ხანდაზმულობის ვადა შემცირდება 5 წლამდე, 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე - 4 წლამდე, 2017 წლიდან - 3 წლამდე;

ბიზნესისთვის საგადასახადო ზედმეტობების დაბრუნების პროცესი

- ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებისა და ბიზნესის სტიმულირებისთვის,

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ბიზნესისათვის საგადასახადო ზედმეტობების დაბრუნების პროცესი გააგრძელა (2013 წელს დაბრუნებულია 87 მილიონ ლარზე მეტი). სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზანია რეინვესტირება ბიზნესში, ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესის წახალისება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება, კომპანიების საბრუნავი სახსრების გაზრდა, ეკონომიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობა ქვეყნისთვის ისეთ პრიორიტეტულ დარგებში, როგორიცაა: ენერგეტიკა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ზედმეტობების დაბრუნებისათვის საჭირო სახსრების არსებობის კუთხით სახელმწიფო ბიუჯეტს პრობლემა არ აქვს და ამ მიმართულებით სახელმწიფო გააგრძელებს თავისი ვალდებულებების შესრულებას არსებული პროცედურების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ აქტიურდება წინასწარ და ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების პროცესი, ეს ზეგავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებაზე.

კანონმდებლობის სრულყოფა

- მიმდინარეობდა და გრძელდება მუშაობა „საბაჟო კოდექსის“ პროექტზე;
- წლის განმავლობაში საბაჟო დეპარტამენტში შემუშავდა და უკვე დამტკიცდა 57 სამართლებრივი აქტი;
- დაგეგმილია პროცედურების შესახებ არსებული სახელმძღვანელოების (საავტომობილო და საჰაერო) განახლება ასევე, ახალი სახელმძღვანელოების (საზღვაო, საფოსტო და სარკინიგზო) შექმნა;
- იგეგმება მინიმალური ფასების (მედიანის) ნაცვლად შესაბამისი რისკის პროფილების ამოქმედება და ფასების მონაცემთა სისტემის დამტკიცების თაობაზე ბრძანების ეტაპობრივი გაუქმება, რის შემდეგაც მიიღწევა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) მოთხოვნებთან სრული ჰარმონიზაცია.

ავტოსატრანსპორტო საშუალების აგზით საწვავის კომერციული დანიშნულებით შემოზიდვის აღკვეთის მიზნით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის N290 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებით დადგინდა საბაჟო გამშვები პუნქტების, „წითელი ხიდის“ და „ლაგოდეხის“, გავლით გადაადგილებული ავტომობილით ნავთობის მსუბუქი და მძიმე დისტილატების (ბენზინისა და გაზოილის) საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის პირობები. ამავდროულად შექმნილ იქნა საწვავის რაოდენობის საზომი მოწყობილობები, რამაც ფაქტობრივად აღმოფხვრა საწვავის უკანონოდ შემოტანის ფაქტები.



- „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურები ფორმალურ ხასიათს ატარებდა. შეიცვალა მიდგომა და სრულყოფილად ამოქმედდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, რასაც მოჰყვა შესაბამისი შედეგი. ამასთან, შემოსავლების სამსახურის მიერ ინიცირებული კანონპროექტის საფუძველზე „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლითაც დაბუსტდა კანონის რეგულირების სფერო და ინტელექტუალური



საკუთრების ობიექტების რეგისტრაციას, საბაჟო მიზნებისათვის, შემოსავლების სამსახური ახორციელებს (მანამდე რეგისტრაციას ახორციელებდა „საქპატენტი“).

2013 წელს საბაჟო დეპარტამენტის მიერ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა განხორციელებისას დაფიქსირდა საქონლის შეჩერების 50 შემთხვევა (სულ შეჩერდა 866 482 ლარის ღირებულების საქონელი), აქედან:


- ✓ 27 შემთხვევაში უფლების მფლობელსა და საქონლის მფლობელს შორის შედგა შეთანხმება საქონლის განადგურების თაობაზე;
- ✓ 17 შემთხვევაში უფლების მფლობელმა მიმართა სასამართლოს;
- ✓ 6 შემთხვევაში უფლების მფლობელის წერილობითი თხოვნით საქონელი გაშვებულ იქნა (კონტრაფაქცია არ აღმოჩნდა).

განხორციელდა ცვლილებები მომსახურების საფასურების შემცირების მიმართულებით:

- 3000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონლის გაფორმებისათვის მომსახურების საფასური 150 ლარიდან შემცირდა 100 ლარამდე;
- საბაჟო გამშვებ პუნქტში „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ გამართივებული საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული 3000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონლის გაფორმებისათვის მომსახურების საფასური 100 ლარიდან 20 ლარამდე შემცირდა;
- შემცირდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გაფორმების მიზნით, საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ვადის 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გაგრძელების საფასური - 100 ლარს + 5 ლარი ყოველ კალენდარულ დღეზე, ნაცვლად 100 ლარს + 10 ლარისა.




2013 წელს შემოსავლების სამსახურში მედიაციის საბჭოში შემოსული საჩივრები (სულ შემოსულია 9665 საჩივარი)



- დაკმაყოფილდა 856 საჩივარი
- არ დაკმაყოფილდა 3869
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 3072
- განუხილველი დარჩა 1868

შემოსავლების სამსახურის მიერ სასამართლოში დასრულებულია 224 საქმე

2013 წელს სასამართლოში დასრულებული საქმეები



- შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ დასრულდა 137 საქმე
- გადასახადის გადამხდელის სასარგებლოდ დასრულდა 55 საქმე
- გადასახადის გადამხდელის სარჩელები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 21 საქმე (მათ შორის, ასკ-ის 32.4 მუხ. - 15 საქმე)
- გადახდის უნარობის საქმის წარმოება - 11 საქმე

საგადასახადო შეთანხმებათა გაფორმების სტატისტიკა

შემოსავლების სამსახურის მიერ 2013 წელს გაფორმებული 729 საგადასახადო შეთანხმებიდან:


- 636 გადამხდელის მიერ 2013 წელსვე შესრულდა საგადასახადო შეთანხმების აქტიტი განსაზღვრული პირობები და ბიუჯეტში გადახდილია 40 770 848 ლარი (მათ შორის, არადეკლარირებული - 27 494 626 ლარი);
- 80 გადამხდელის მიერ 2014 წელს შესრულდა შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები და გადახდილია 2 912 372 ლარი, გაფორმებული შეთანხმებების შესაბამისად გადახდილია 4 503 245 ლარი;
- 2013 წელს, საქართველოს მთავრობისგან მიღებული განკარგულებების შესაბამისად, გასაფორმებელი იყო შეთანხმების დამატებით 30 აქტი (აქტის გაფორმების პროცესმა გადაინაცვლა 2014 წელს). აღნიშნულ შემთხვევაში გადამხდელთა მიერ შეთანხმების გაფორმებისათვის შემოთავაზებული იყო 2 214 106 ლარი; მათ შორის: 2013 წლის ბოლომდე გადახდილ იქნა 126 779 ლარი, 2014 წლის განმავლობაში გადასახდელია 2 087 327 ლარი;
- 2013 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილი გადამხდელების განცხადებებიდან 8 განცხადების თაობაზე 2014 წელს იქნა მიღებული მთავრობის განკარგულება. შეთანხმების გაფორმებისათვის შემოთავაზებული 1 469 890 ლარიდან 1 234 890 გადახდილ იქნა 2013 წელს, 235 000 ლარი გადასახდელია 2014 წელს.



ეფექტიანი ადმინისტრირება:

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2013 წელს დაინიშნა 2711 საგადასახადო შემოწმება, აქედან 1651 კამერალური და 1060 გასვლითი საგადასახადო შემოწმება.

2013 წელს დასრულებულია 2810 საგადასახადო შემოწმება, მათ შორის:



- 2013 წელს დასრულდა:
 - 1159 - გასულ წლებში დაწყებული, დაუსრულებელი საგადასახადო შემოწმება;
 - 1651 – 2013 წელს დაწყებული საგადასახადო შემოწმება.
- 2810 დასრულებული შემოწმებიდან საერთო დარიცხვამ შეადგინა 307506318 ლარი, მათ შორის:
 - გასვლითი (1069-შემოწმება) - 200075724 ლარი;
 - კამერალური (1741-შემოწმება) -107430594 ლარი.

საქონლის გაფორმება

- 2013 წელს გაფორმდა 183 208 სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია, მათ შორის: ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმდა 26 239 სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია, იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში - 143 123; ხოლო სხვა სასაქონლო ოპერაციებში - 13 846 სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია.
- 2013 წელს საფოსტო გზავნილების რეესტრში რეგისტრირებულია 1 555 793 ამანათი, მათ შორის, დადგენილებულია 67 621 ამანათი.


სამართალდარღვევები

- 2013 წლის განმავლობაში შემოწმდა 134,923 სატრანსპორტო საშუალება, გამოვლნდა 7007 სამართალდარღვევა, შეფარდებულმა სანქციამ შეადგინა 5421800 ლარი. ამასთან, გარდა ავტომობილებით მოძრავი ეკიპაჟებისა, ეს ფუნქცია შეითავსეს საგადასახადო ოფიცრებმაც, რომლებიც უშუალოდ საქონლის გადაცემის მომენტში ახდენენ შემოწმებას;
- წლის განმავლობაში დაიწყო ინვენტარიზაცია 1226 გადამხდელთან. ამავე პერიოდში დასრულდა 1192 ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც დარიცხული სანქციის თანხამ შეადგინა 38037427.23 ლარი;

- 2013 წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულია 83228 საკონტროლო შესყიდვა, გამოვლენილია 18126 სამართალდარღვევა, საიდანაც 13287 შემთხვევაში შეფარდებულია გაფრთხილება, ხოლო დარჩენილ 4839 შემთხვევაში დარიცხულმა სანქციამ შეადგინა 1169300 ლარამდე;
- საკონტროლო შესყიდვის გარეშე (მათ შორის დაკვირვების, დათვალიერების, წერილის საფუძველზე, სათამაშო ბიზნესის სანებართვო პირობების დარღვევა და სხვ.) გამოვლინდა 1977 სამართალდარღვევა, მათ შორის, 689 შემთხვევაში შეეფარდებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო დანარჩენ 1288 შემთხვევაში დარიცხულმა სანქციამ შეადგინა 2190009.18 ლარი.
- 2013 წლის განმავლობაში შედგა საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოფხვრის ვადის განსაზღვრის 8542 აქტი, საიდანაც სამართალდარღვევა აღმოიფხვრა 6277 გადასახადის გადამხდელთან, მათ შორის გამოვლინდა:
 - 3161 რეგისტრაციის წესის დარღვევით მომუშავე პირი;
 - 2434 საკონტროლო-სალარო აპარატის ქონის გარეშე მომუშავე პირი;
 - 88 მიკრო/მცირე ბიზნესის წესის დარღვევით მომუშავე გადამხდელი;
 - 16 ფიქსირებული გადასახდის გადამხდელის სტატუსის დარღვევით მომუშავე პირი;
 - 2843 გადასახადის გადამხდელის მოწმობის მომხმარებლისთვის თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრის გარეშე მომუშავე პირი.
- ✓ საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოფხვრის ვადის განსაზღვრის აქტის საფუძველზე ჩატარდა 2265 საკონტროლო შესყიდვა. მათ შორის: საქმიანობა შეწყვიტა 1916 გადამხდელმა; დაჯარიმდა გადასახდის 349 გადამხდელი. ჯარიმის ოდენობამ სულ შეადგინა 88700 ლარი.


საბაჟო დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი დარღვევები:

- წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა გამოვლენილი საგადასახადო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და სისხლის სამართლის დანაშაულების გამოვლენის რაოდენობა, მათ შორის:
- ფასთაშორის სხვაობა – საქონლის შემცირებული ღირებულებით





- ფასთაშორის სხვაობა - საქონლის გაზრდილი ღირებულებით



- გადასახდელების შემცირება – 124725.00 ლარი;
- მიწოდების პირობების დარღვევის – 6 ფაქტი;
- საზღვრის რისკის პროფილის მეშვეობით გამოვლენილ სამართალდარღვევათა ჯამური ოდენობა შეადგენს 1179, ხოლო ჯარიმის სახით გადახდილი თანხის ოდენობა – 471156.00 ლარს. მათ შორის:
 - ✓ სისხლის სამართლის დანაშაულის – 15 შემთხვევა;
 - ✓ საქონლის ჩამორთმევის – 1 შემთხვევა (ავტობუსი).
- საანგარიშო პერიოდში საბაჟო დეპარტამენტის მიერ გამოვლენილია საგადასახადო სამართალდარღვევის 9754 ფაქტი, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის - 976 ფაქტი.
- 2013 წელს, დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის გამო შესაბამის საგამოძიებო ორგანოს გაეგზავნა საქმის მასალები:
 - ძვირფასი ლითონებისა და ქვების შემოტანის 17 ფაქტთან დაკავშირებით;
 - ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანის 118 ფაქტთან დაკავშირებით;
 - იარაღის შემოტანის 18 ფაქტთან დაკავშირებით.
- „სფაისები“:
 - 2013 წლიდან საგრძნობლად იმატა ე.წ. „სფაისების“ (მცენარეული წარმოშობის მოსაწვევი საშუალებებისა და ასევე ფხვნილის) ინტერნეტის საშუალებით შესყიდვებისა და საფოსტო გზავნილების სახით მათი შემოსვლის ფაქტებმა. გამოვლენილია ასევე მგზავრების მიერ „სფაისების“ შემოტანის ფაქტებიც:

- 2013 წელს გამოვლინდა ე.წ. „სფაისების“ ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის 287 ფაქტი. აღნიშნულის შესახებ ეცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს, რომელსაც ასევე გაეგზავნა ნიმუშები შემდგომი ექსპერტიზისა და რეაგირებისათვის.
- ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულფასოვნად ამოქმედების შემდგომ, არსებითად შეიცვალა საკარანტინო დაავადებათა გამოვლენის რაოდენობა, მათ შორის: თურქეთიდან და ირანიდან იმპორტირებულ კარტოფილზე, ინდოეთიდან შემოტანილ გაყინულ კამერის ხორცზე, ირანიდან შემოტანილ სასურსათო კვერცხზე და სხვ.
- ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლისას იმპორტისთვის განკუთვნილი სურსათის 51 სასაქონლო პარტიაში გამოვლინდა დარღვევები. აქედან 29 პარტია გაბრუნდა უკან, 10 პარტია დაექვემდებარა გადამუშავებას, ხოლო 12 პარტია – განადგურებას.
- ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის განხორციელებისას, იმპორტისთვის განკუთვნილი საქონლის 126 პარტიაში დარღვევები გამოვლინდა. აქედან 103 პარტია გაბრუნდა უკან, 10 პარტია დაექვემდებარა ფუმიგაციას, 11 პარტია განადგურდა, 2 პარტიის შესახებ ინფორმაცია გადაეცა სურსათის ეროვნულ სააგენტოს.
- ლაბორატორიულ კვლევას დაექვემდებარა:
 - ✓ ვეტერინარული კონტროლის განხორციელებისას – 597 ნიმუში;
 - ✓ ფიტოსანიტარიული კონტროლის განხორციელებისას – 662 ნიმუში.
- **საწყობები და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტები**
 - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 24 სექტემბრის №47040 ბრძანების საფუძველზე შემოწმდა 61 საწყობი და 15 თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი.
 - სანებართვო პირობების დარღვევისათვის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დაჯარიმდა 21 საწყობი და 3 თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი.

2012 წლის ნოემბრიდან, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. დამკვიდრდა მიდგომა, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია. რეალურად დაიწყო იმ ფუნქციების განხორციელება, რაც ევალება საბაჟო სამსახურს, მათ შორის: ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლი, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კონტროლი, არასატარიფო ღონისძიებების გატარება და ა.შ. ყოველივე ამის საფუძველზე მკვეთრად იმატა სამართალდარღვევების გამოვლენის მაჩვენებელმა.

2013 წლის 25 აპრილიდან განხორციელდა შემოსავლების სამსახურის რიგი სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაცია. კერძოდ, საბაჟო და გაფორმების დეპარტამენტების შეერთების შედეგად შეიქმნა ერთიანი საბაჟო დეპარტამენტი, რომელშიც თავი მოიყარა საბაჟო სფეროსთან დაკავშირებულმა ყველა ფუნქციამ, რომლებიც სხვადასხვა იყო დეპარტამენტში გადანაწილებული. ამასთან, საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურაში გაჩნდა სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველო, ინფორმაციის დამუშავების, გაცვლისა და რისკების მართვის სამმართველო, მონიტორინგისა და ოპერატიული რეაგირების სამმართველო, საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების სამმართველო და სატარიფო და არასატარიფო რეგულირების სამმართველო.



საბაჟო და გაფორმების დეპარტამენტების გაერთიანების შედეგად გამოვლინდა რამდენიმე პრობლემა:

კადრების ნაკლებობა როგორც საბაჟო გამშვებ პუნქტებზე, ასევე გაფორმების ეკონომიკურ ზონებში. პრობლემის გადასაჭრელად, ეტაპობრივად ცხადდება კონკურსი სტაჟიორებისა და ახალი თანამშრომლების მისაღებად. 2013 წლის განმავლობაში საბაჟო დეპარტამენტში სტაჟირება გაიარა 117 პირმა, აქედან თანამდებობაზე დაინიშნა 30 თანამშრომელი.

არასათანადო ანაზღაურება – 2013 წლის ნოემბრიდან გაიზარდა ხელფასები მხოლოდ საბაჟო გამშვებ პუნქტებზე მომუშავე მებაჟე-ოფიცრებისათვის – 250 ლარით, მათი თანამდებობრივი პოზიციების შესაბამისად.

თანამშრომელთა მოძველებული უნიფორმა რომელიც არ შეესაბამებოდა სამუშაოს სპეციფიკას და საჭიროებდა დაუყოვნებელ განახლებას. ამ მიზნით, სპეციალური ესკიზის მიხედვით, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ განახორციელა სპეცტანსაცმლის შეკერვა. ამასთან, ფიტოსანიტარი და ვეტერინარი ოფიცრებისათვის შეიქმნა განსხვავებული უნიფორმა.

სათვალთვალო კამერების გაუმართავი მუშაობა, კამერების და ჩამწერი მოწყობილობების ნაკლებობა

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, შესაბამის ობიექტებზე დამონტაჟდება 50 ერთეული სათვალთვალო კამერა, მოქმედ ჩამწერი მოწყობილობებში ჩაწერის ხანგრძლივობის გაზრდის მიზნით, მოხდება მეხსიერების გაძლიერება.

თანამშრომლები აღიჭურვნენ ჩამწერი მობილური კამერებით, დაგეგმილია დამატებით 50 ერთეული ჩამწერი ტექნიკის შეძენა.



თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, კინოლოგიური სამსახური

ძველი რაციები შეიცვალა ახალი ერთეულებით.

სტაციონარული, ხელბარგისა და სხეულის სკანერების ნაკლებობა - მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, საბაჟო გამშვებ პუნქტებზე დაგეგმილია 4 სტაციონარული სკანერის დამატება, ასევე, გამოცხადებულია ტენდერი ხელბარგის 2 ც. სკანერზე. სარფის, სადახლოს, წითელი ხიდის, თბილისის აეროპორტისა და ყაზბეგის საბაჟო გამშვებ პუნქტებისთვის განიხილება ადამიანის სხეულის სკანერის შეძენა.

კინოლოგიური სამსახური

2013 წელს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის ბაზაზე საფუძველი ჩაეყარა კინოლოგიური სამსახურის ჩამოყალიბებას. თბილისში, ორხევის დასახლებაში განთავსებული სასწავლო ცენტრის ბაზაზე, ასევე საბაჟო გამშვებ პუნქტებზე მიმდინარეობს კინოლოგიური სამსახურის ფორმირება, ვოლიერების მშენებლობა, ძაღლებისა და მათი გადასაადგილებელი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა. კინოლოგების გადამზადებისა და ნარკოტიკებზე განვრთნილი ძაღლების შეძენის მიზნით, შეიქმნა აშშ-ის ავტორიტეტული კომპანია. კინოლოგიური სამსახური დაახლოებით 2014 წლის მე-3 კვარტალში დაიწყებს მოქმედებას.

საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება

- რეორგანიზაციის შედეგად, საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების ფუნქცია აუდიტის დეპარტამენტიდან გადავიდა საბაჟო დეპარტამენტში. გამოვლენილია საგადასახადო და სისხლის სამართლის სხვადასხვა სამართალდარღვევა და, როგორც პრიორიტეტი ყველა განვითარებულ ქვეყანაში, აღნიშნული მიმართულების გასაძლიერებლად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.
- საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების აქტის პროექტზე გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი პოზიციის განხილვის მიზნით, შეიქმნა საბაჟო დეპარტამენტის სათათბირო საბჭო.
- საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმებით:
 - ✓ 3 152 დეკლარაცია შემოწმდა ლურჯი დერეფნის შესაბამისად, აქედან:
 - შემოწმება დასრულდა 3 038 დეკლარაციაზე;
 - შემოწმება მიმდინარეობს 114 დეკლარაციაზე;
 - სხვა ქვეყანებში გადამოწმების მიზნით გაგზავნილია წერილი 83 დეკლარაციაზე.
 - ✓ ბრძანებით დაინიშნა 24 კამერალური და გასვლითი შემოწმება, აქედან:
 - 9 კამერალური შემოწმება დასრულებულია;
 - 10 კამერალური შემოწმება შეჩერებულია (გადამხდელისგან, ასევე სხვა ქვეყნებიდან ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით);
 - 3 კამერალური შემოწმება მიმდინარე პროცესშია;
 - 1 კამერალური შემოწმება გაუქმებულია;
 - 1 გასვლითი შემოწმება შეჩერებულია (წარმოდგენილი დოკუმენტაციის უცხოეთში გადამოწმების მიზნით).
 - ✓ შედგა 12 აქტი და 6 აქტის პროექტი, რომლითაც დარიცხვამ შეადგინა 222 512 ლარი (აქედან ლურჯ დერეფანში მოხვედრილ დეკლარაციებზე შედგენილია 10 აქტი და 2 აქტის პროექტი).
 - ✓ შედგა 7 აქტი და ერთი აქტის პროექტი, გაფორმების ორგანოში დეკლარაციის ჩასწორების მიზნით.



მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა საბაჟო გამშვებ პუნქტებზე პროცედურების ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელებაზე, რაც გულისხმობს ყველა სახის ნებართვის გაცემასა და მიღებას საზღვარზე და გაფორმების ორგანოებში.

რისკების მართვა და ინფორმაციის გაცვლა

სისტემატურად ხდება რისკის პროფილების დამუშავება და განახლება. მიმდინარეობს საბაჟო გამშვები პუნქტებისათვის ლოკალური რისკის პროფილების შექმნა და აქტიური მუშაობა უცხო ქვეყნებთან ორმხრივი ინფორმაციის გაცვლაზე. ასევე, მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნის ანალოგიური სამსახურის პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარება, რისკების მართვის მოქნილი და უფრო ძლიერი სისტემისა და მასზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლის უზრუნველსაყოფად.

რისკის პროფილით წითელ და ყვითელ დერეფანში შერჩეული დეკლარაციებიდან გამოვლინდა სამართალდარღვევის 120 შემთხვევა, რომლებზეც ჯარიმების ჯამური თანხა შეადგენს 230,588.55 ლარს.

სისტემატურად მიმდინარეობს ინფორმაციის დამუშავება, გაცვლა და გამოთხოვა უცხოეთის შესაბამისი სამსახურებიდან:

- ✓ საქონლის გაფორმებისას წარდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობის დადგენის მიზნით, გაიგზავნა წერილები: 80 ქვეყნის საბაჟო სამსახურში, 720 სხვადასხვა ორგანიზაციის სახელზე;
- ✓ სხვადასხვა სამსახურის მოთხოვნით მომზადდა და 60 ქვეყანაში გაიგზავნა წერილები 200 ორგანიზაციაზე.

განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

თანამედროვე საბაჟო და საგადასახადო ინფრასტრუქტურის მოწყობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. გადამხდელთა სწრაფი, ეფექტური და კვალიფიციური მომსახურების დონის ამაღლების მიზნით, მიმდინარე წელს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

- დასრულდა საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგის“ რეკონსტრუქცია;



საბაჟო გამშვები პუნქტი «ყაზბეგი»

- დასრულდა კინოლოგიური სამსახურის ძაღლებისათვის ვოლიერების მშენებლობა შემდეგ ობიექტებზე: საბაჟო გამშვები პუნქტი „სადახლო“, საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდი“, ქ. თბილისი – ორხევის დასახლება და გეზ-ი „ბათუმი“.
- ამჟამად დაწყებულია და 2014 წლის ბოლომდე დასრულდება:
 - ✓ საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდას“ მშენებლობა;



საბაჟო გამშვები პუნქტი «სადახლო»

- ✓ საბაჟო გამშვები პუნქტი „კარნახის“ რეკონსტრუქცია;
- ✓ საბაჟო გამშვები პუნქტი „ლაგოდეხის“ რეკონსტრუქცია;
- ✓ გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი 2-ის“ მშენებლობა;
- ✓ საბაჟო გამშვები პუნქტების – „ნინოწმინდა“, „ლაგოდეხი“, „სადახლო“ – ტერიტორიებზე სკანერების მონტაჟი;
- ✓ გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის“ სკანერის მონტაჟი;
- ✓ საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგის“ სატვირთო ავტომობილების დასათვალიერებელი რამპა;
- ✓ შემოსავლების სამსახურის საწყობის მშენებლობა (აბზიანძის ქუჩა N4);
- ✓ კინოლოგიური სამსახურის ძაღლებისათვის ვოლიერების მშენებლობა საბაჟო გამშვებ პუნქტებზე: „ყაზბეგი“ და „ლაგოდეხი“.

პირადი შემადგენლობის მონიტორინგი

აქტიურად მიმდინარეობს პირადი შემადგენლობის კონტროლი, მათ მიერ სამსახურის არაჯეროვნად შესრულების და სხვა დისციპლინარული გადაცდომების გამოვლენა,

2013 წლის განმავლობაში 76 თანამშრომელს დაეკისრა დისციპლინური სასჯელი



შემოსავლების სამსახურის ავტოპარკში 2013 წელს განხორციელებული ცვლილებები:

- შეიცვალა გარანტიისგასული და ამორტიზებული 101 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლებიც გამოირჩეოდნენ ექსპლუატაციის მაღალი ხარჯით. სანაცვლოდ, შემოსავლების სამსახურმა შეიძინა ეკონომკლასის ავტოსატრანსპორტო საშუალებები;
- შემოსავლების სამსახურმა, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძინა 36 ერთეული სპეცტექნიკა (სკანერი, მიკროავტობუსი, ავტობუსი და პიკაპი);
- შემოსავლების სამსახურმა, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოპარკი გაზარდა 9 ერთეული ეკონომკლასის ავტომანქანით.

მომზადდა შემდეგი ნორმატიული აქტების პროექტები:

- საქართველოს კანონები:
 - „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (14 ცვლილება);
 - „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (2 ცვლილება);
 - „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილების 18 პროექტი;
- საქართველოს მთავრობის განკარგულების 5 პროექტი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების 71 პროექტი;
- შემოსავლების სამსახურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ერთიან სახაზინო კოდეზზე გადასვლის მიზნით, შემუშავდა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გაიგზავნა შემდეგი სახის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები:

- „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;
- „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურისაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;
- „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესაბამის ბრძანებებში ცვლილების პროექტები.

2013 წლის განმავლობაში, საკოორდინაციო საბჭოს მიერ გადამუშავების მიზნით, განხილულია სულ 167 სიტუაციური სახელმძღვანელო. განხილვის შედეგად გაუქმდა 14 სიტუაციური სახელმძღვანელო.


მათ შორის, გადამუშავების ეტაპზეა 62 სიტუაციური სახელმძღვანელო. საკოორდინაციო საბჭო განაგრძობს მუშაობას მოქმედი სიტუაციური სახელმძღვანელოების გადამუშავების მიზნით.

შემოსავლების სამსახურის მიერ წინასწარი გადაწყვეტილებების გამოცემის მიმართულებით, 2013 წელს განხილულ იქნა 70 წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნა, აქედან:

2013 წელს შემოვიდა წინასწარი გადაწყვეტილების 48 მოთხოვნა, რასაც დაემატა წინა წლის 22 მოთხოვნა, ჯამში - 70 მოთხოვნა. აქედან :

- 36 მოთხოვნაზე წინასწარი გადაწყვეტილება გაცემულია;
- 12 მოთხოვნას უარი ეთქვა განხილვაზე ხარვეზის გამო.

სულ განხილულ იქნა 70 წინასწარი გადაწყვეტილება




წინასწარი გადაწყვეტილებები გამოცემულია შემდეგ სფეროებში დასაქმებულ პირებზე:

- სამშენებლო
- სატელეკომუნიკაციო
- საბანკო
- სატრანსპორტო
- სარეკლამო
- სამედიცინო
- საქველმოქმედო საქმიანობა
- ენერგოწარმოება
- სოფლის მეურნეობა



შემოსავლების სამსახურის იურიდიულ დეპარტამენტში წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაფიქსირდა 155 წერილობითი მოთხოვნა.



საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი

შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა უზრუნველყო სამი ძირითადი პროექტის განხორციელება. ანალოგიური მასშტაბისა და სირთულის პროექტი გასულ წლებში არ შექმნილა.

ესენია:

- ერთიან სახაზინო კოდზე გადასვლა;
- დაუბეგრავი მინიმუმის უკან დაბრუნების მექანიზმის შემუშავება;
- საბაზოზე მოქმედი ელექტრონული სისტემის ახალ ვერსიაზე გადასვლის მიზნით, მოქმედი სისტემის სრული მოდიფიცირება;

ერთიან სახაზინო კოდზე გადასვლა - პროექტი ითვალისწინებს არსებული სახაზინო კოდების გაუქმებას და მათ ნაცვლად ერთიანი სახაზინო კოდის შემოღებას. ამ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო გახდა ცვლილებები შეგვეტანა თითქმის ყველა, დღემდე არსებულ პროგრამულ მოდულში. მათ შორის მნიშვნელოვანია გადასახადის გადამხდელის პირადი ბარათის აღრიცხვის სისტემა. გადასახადის გადამხდელის მიერ დეკლარირებული გადასახადები, გადახდილი თანხები და დამატებით დარიცხული გადასახადები აღირიცხება ორი სახის ბარათზე -

- ძირითადი ბარათი, რომელზეც აისახება ყველა გადასახადის მიხედვით აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები (მათ შორის, სანქცია და საურავი) და გადახდილი თანხები;
- დროებითი ბარათი, რომელზეც მოხდება არაღიარებული დამატებით დარიცხული თანხების, საგადასახადო შეთანხმებებით გათვალისწინებული თანხების გატარება.

ასევე მნიშვნელოვანია არაღიარებული, გასაჩივრებული თანხების აღრიცხვის მოწესრიგება, რისთვისაც შეიქმნა დავების და საჩივრების აღრიცხვის ერთიანი (შემოსავლების სამსახური და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) პროგრამული მოდული, რომელშიც აისახება გასაჩივრებული დამატებით დარიცხული თანხები და მათზე მიღებული გადაწყვეტილებები. ახალი მოდული

განახორციელებს ძველი ბარათებიდან ნაშთების გადმოტანას და ბიუჯეტში ჩარიცხული თანხების გადანაწილებას ბიუჯეტებისა და ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტებთან, ასევე სახაზინო სამსახურთან კონსულტაციების გავლის შემდგომ შემუშავდა საბიუჯეტო შესრულების გამოთვლის სისტემა. ამჟამად ყველა ძირითადი მოდულის შექმნა დასრულებულია და მიმდინარეობს ტესტირება. დამატებითი კონსულტაციების შედეგად მიღებული ახალი გადაწყვეტილებების შემთხვევაში, მოხდება შესაბამისი ცვლილებების შეტანა. მიმდინარეობს დეკლარირების მოდულების განახლებაც.



დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება


- კანონის შესაბამისად, პირი, რომლის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს, უფლებამოსილია, ამ შემოსავლიდან გამოქვითოს დაუბეგრავი მინიმუმი – 1800 ლარი, ხოლო შესაბამისი თანხის დაბრუნება ხორციელდება ფიზიკური პირის მიერ დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენით.

ვინაიდან ასეთი პირების სავარაუდო რაოდენობა 500 000 ადამიანს აღწევს, არსებითად მნიშვნელოვანი გახდა ისეთი პრინციპების და მექანიზმების შემუშავება, რაც უკან დაბრუნების პროცესს მაქსიმალურად მარტივს გახდის. მიღებულ იქნა ამ პროცესში საბანკო სექტორის აქტიურად ჩართვის გადაწყვეტილება. შესაბამისად, მომზადდა შემოსავლების სამსახურსა და საბანკო სექტორს შორის მემორანდუმის პროექტი, შემუშავდა პროცესის სქემა და დაისახა სამოქმედო გეგმა.



საბაჟო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის ახალი მოდული -

განახლდა გამშვებ პუნქტებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში მოქმედი კომპიუტერული პროგრამა. სისტემა გახდა უფრო მოქნილი ცვლილებებისადმი, უფრო ეფექტური სხვა გარე სისტემებთან ურთიერთობისათვის. პროგრამულ პაკეტებს დაემატა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ეგიდით შექმნილი და აპრობირებული მრავალი მოდული. განახლდა მონაცემთა ბაზის ვერსია, შეიცვალა სისტემაში არსებული ალგორითმი, რამაც უფრო სწრაფი გახადა სისტემის მუშაობა. ჩაუტარდა ტრენინგი სისტემაში მომუშავე პირებს. ამ დროისათვის არსებული მდგომარეობით, სისტემა გაშვებულია სრულად და მიმდინარეობს გარკვეული უზუსტობების აღმოფხვრა.



გაფორმების ეკონომიკური ზონა «ფოთი»

- დიდი პროექტების პარალელურად, შეიქმნა სხვა მრავალი პროექტი. მათ შორის აღსანიშნავია:
- გადასახადის გადამხდელის ელექტრონული სერვისების გვერდი, სადაც გადამხდელს მიეცა საშუალება იხილოს მონაცემები მის მიერ წარდგენილი დეკლარაციების, საგადასახადო ორგანოს მიერ განხორციელებული საგადასახადო ღონისძიებების, განხორციელებული საბაჟო ოპერაციების, ზედნადებების, ანგარიშ-ფაქტურებისა და სხვა დოკუმენტების შესახებ. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს გადამხდელის სრულ ინფორმირებას.
- ამავე გვერდს დაემატა გადამხდელთა გამოკითხვის სისტემა, რითაც შესაძლებელია გადამხდელის კმაყოფილების ხარისხის დადგენა.
- შეიცვალა და დაიხვეწა ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების სისტემა, გამარტივდა ე.წ. „ინტერფეისი“ (პროგრამის ვიზუალური და ფუნქციური მხარე).



- შეიქმნა სხვადასხვა ტიპის გადასახადის გადახდის მოსახერხებელი ელექტრონული სერვისები. განხორციელდა დაკავშირება ელექტრონულ სასაქონლო ზედნადებსა და ელექტრონულ საგადასახადო ანგარიშფაქტურას შორის.
- განახლდა აუდიტის დეპარტამენტის პროგრამული უზრუნველყოფა, დაიხვეწა მისი რისკების მოდული და გამართვდა რისკის კრიტერიუმების მართვა.
- სავალუტო ფონდის მიერ მიღებული რეკომენდაციების თანახმად, აქტიური გადამხდელების განსაზღვრის მიზნით, შემუშავდა სრულიად ახალი პროცედურა.
- შეიქმნა საბაჟო ნებართვების ერთიანი აღრიცხვის სისტემა, რაც საშუალებას იძლევა, საბაჟო გამშვებ პუნქტებზე ნებართვას დაქვემდებარებული საქონლის იმპორტისას, ცენტრალიზებულად განხორციელდეს კონტროლი, დაფიქსირდეს საქონლის შემოტანა და განხორციელდეს ნებართვის გამოყენების ფაქტის აღრიცხვა – ნებართვა გაინაშთოს დეკლარირების საშუალებით.
- განახლდა საფოსტო გზავნილების ელექტრონული მართვის სისტემა. ამანათების ზოგადი დეკლარირებისთვის, ამანათების ნუსხის ატვირთვა ხდება პირდაპირ შემოსავლების სამსახურის ელექტრონული მომსახურების გვერდზე. ყველა ამანათი გადაეცემა საფოსტო გადამზიდველს, რომელიც, კანონმდებლობის შესაბამისად, დეკლარირების გარეშე ან დადეკლარირების შემდეგ, გადასცემს მათ მფლობელს. პროცედურა ხორციელდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ამავდროულად, წარმოებს იმ ამანათების აღრიცხვა, რომელთაც გაუვიდა დეკლარირების ვადა და ექვემდებარება განკარგვის ღონისძიებებს (მაგ. სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა).
- საფოსტო გზავნილებით მედიკამენტების გაფორმებისას აუცილებელი გახდა „ფარმაცევტული პროდუქტის აღნუსხვის ფორმის“ ელექტრონული ვერსიის დაკავშირება დეკლარაციასთან, რამაც ფაქტობრივად მინიმუმამდე დაიყვანა დუბლირებული აღრიცხვის ფორმების სისტემაში დაფიქსირება.
- განახლდა შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სისტემაში არსებული, ბიზნეს-ანალიტიკური რეპორტების მოდული, რომელსაც მუდმივად ემატება ის ახალი მონაცემები, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში ფორმირდება.
- შეიქმნა ე.წ. Privé მომსახურების საინფორმაციო გვერდი:



კონსულტაციის მიღება
ტელეფონით



მრჩეველთან დაკავშირება
ვებ-კამერით



მრჩეველთან მიმოწერა
ედ-ფოსტით



მრჩეველთან ურთიერთობა
LIVE-ჩატი



- დასრულდა TradeNet-ის პროექტისათვის სერვისების აწყობა. სატესტო რეჟიმში მოხდა მანქანაზე დადებული კონტეინერის შესახებ, ხაზის დეკლარანტის მიერ გამოგზავნილი ინფორმაციის მიღება.
- აეწყო დროებითი შენახვის განაცხადის სერვისები:
 - ✓ ბათუმის პორტში შემოსული გემიდან, პორტში საქონლის დროებით დასაწყობებისას გამოგზავნილი ინფორმაციის მიღება;
 - ✓ გემის განაწესის შესახებ ინფორმაციის მიღება.

- შეიქმნა ინფორმაციის გაცვლის სერვისები საქართველოს რკინიგზასთან, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ ინფორმაციები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოსული მატარებლების შესახებ.



- 2013 წლის 17 ივნისიდან ფუნქციონირება დაიწყო საინფორმაციო-სატელეფონო ცენტრმა (Callcentre), რომლის მიზანია მიაწოდოს გადამხდელებს საბაზისო სატელეფონო ინფორმაციო საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებებზე. საინფორმაციო-სატელეფონო ცენტრში ამ ხნის განმავლობაში დაფიქსირდა 63 913 ზარი, აქედან:
 - ✓ 47 793 ზარი საგადასახადო მიმართულებით;
 - ✓ 16 120 - საბაჟო მიმართულებით.
- ამასთან, შემოსავლების სამსახური გადამხდელებს კონსულტაციას უწევს როგორც სატელეფონო, ასევე წერილობითი(მატერიალური) და ელექტრონული ფორმებით.





- საინფორმაციო-სატელეფონო ცენტრისთვის შემუშავდა ერთიანი საცნობარო სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს ცხელი ხაზის თანამშრომლებს უფრო ეფექტურად და სწრაფად გაუწიონ კონსულტაცია გადამხდელებს.
- მოეწყო „ღია კარის“ დღეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რომლის ფარგლებშიც გადასახადის გადამხდელებისათვის გაიმართა პრეზენტაცია საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

ყოვლისმომცველი კომუნიკაცია

- წლის განმავლობაში საზოგადოებას მიეწოდებოდა ინფორმაცია შემოსავლების სამსახურში დანერგილი ყველა სიახლისა და ცვლილების შესახებ, იგეგმებოდა და ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის ღონისძიება, მათ შორის: ბრიფინგები და პრესკონფერენციები აქტუალურ თემებზე; ღია კარის დღეები; შეხვედრები როგორც მსხვილი, ისე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან. მოთხოვნის შესაბამისად, სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამაუწყებლო კომპანიის ტელერადიო გადაცემებში. საინფორმაციო-საკომუნიკაციო კამპანიები განხორციელდა რამდენიმე თემატურ საკითხზე, მათ შორის:
 - ადმინისტრირების ღონისძიებების შესახებ;
 - ინდივიდუალური გადასახადების ლიბერალიზაციის შესახებ (მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-საღარო აპარატის გამოყენებლობისთვის დაწესებული ჯარიმის შემცირება);




ვაკე -საბურთალოს სერვისცენტრი

- საიმიტო კამპანია (ტელე და რადიოგადაცემებში მონაწილეობა, საინფორმაციო ვიდეო და საგაზეთო სიუჟეტების უზრუნველყოფა);
- სოციალური ქსელების აქტივაცია;
- ინტერნეტრეკლამა;
- პოსტერები, ბროშურები და სხვ.



- საანგარიშო პერიოდში სამჯერ (2013 წლის ივლისი - 2013 წლის აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი - ნოემბერი (დელოიტთან ერთად)) ჩატარდა საკომუნიკაციო კამპანიის ეფექტიანობის კვლევა;
- განხორციელდა მომსახურების ხარისხის მონიტორინგი (თებერვალი - აგვისტო);
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტი აქტიურად მონაწილეობდა სერვის-ცენტრების ინტერიერის გაფორმებაში;
- მომზადდა საგადასახადო კალენდარი;
- მომზადდა კორპორაციული აქსესუარები / ბრენდირებული მასალები;
- წლის განმავლობაში დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა რამდენიმე სემინარი და სასწავლო კურსი დაინტერესებული მედიასაშუალებებისთვის;
- პროფესიული დღეების აღნიშვნის დაგეგმვა-ორგანიზება (2013 წლის დეკემბერი - 2014 იანვარი, 26 იანვარი, მებაჟის დღე)



ვაკე-საბუროტალოს სერვისცენტრი



საკადრო სისტემაში განხორციელებული პროექტები

შერჩევა, კონკურსი

- საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის hr.gov.ge მეშვეობით შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში:
 - არსებულ 1351 ვაკანტურ თანამდებობაზე (მათ შორის იმ თანამდებობებზე, რომლებზეც დანიშნულნი იყვნენ მოვალეობის შემსრულებლები კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე) გამოცხადდა კონკურსი, შემოვიდა 14241 მსურველის აპლიკაცია, შეფასების ეტაპებით (აპლიკაციების გადარჩევა/შეფასება, ტესტირება, გასაუბრება) შეირჩა და თანამდებობაზე დაინიშნა 1281 პირი.
 - სტაჟიორების შესარჩევად გამოცხადდა კონკურსი და კონკურსის შედეგად (აპლიკაციების გადარჩევა, ტესტირება, გასაუბრება) შეირჩა და სწავლება გაიარა 295 სტაჟიორმა (შემოვიდა 6216 განაცხადი).
- პერსონალის შერჩევისა და შეფასების მიზნით შეიქმნა ტესტირების ელექტრონული პროგრამა.

სწავლება

- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების და სტაჟიორთა სწავლების უზრუნველყოფის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით (თბილისი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) საბაჟო და საგადასახადო მიმართულებით, კონკურსის შედეგად შეირჩა ტრენერის შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე 10 თანამშრომელი, სალექციო კურსის წასაკითხად, შერცეულ პირებს ჩაუტარდათ ToT (ტრენერთა მომზადების კურსი) სწავლება.

პროფესიული გადამზადების ტრენინგი მოქმედი თანამშრომლებისთვის:

- 2013 წელს კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროფესიული ტრენინგი ჩაუტარდათ შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს:
 - საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებს - საგადასახადო კანონმდებლობაში (მიმდინარე კონტროლი, საბაჟო პროცედურები, სათამაშო ბიზნესი და საკონტროლო - სალარო აპარატები) – სწავლების ხანგრძლივობა 10 დღე;


- მომსახურების დეპარტამენტის სერვისცენტრის თანამშრომლებს - საბაჟო კანონმდებლობა - 3 კვირა;
- მომსახურების დეპარტამენტის საკონსულტაციო სამმართველოს თანამშრომლებს - საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა - 2თვე;
- მომსახურების დეპარტამენტის საინფორმაციო-სატელეფონო ცენტრის თანამშრომლებს:
 - საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა - 3 კვირა, 2 ჯგუფი;
 - ეფექტური უნარ-ჩვევების განვითარება - 4 კვირა;
- საბაჟო დეპარტამენტის ინფორმაციის დამუშავების, გაცვლის და რისკების მართვის სამმართველოს თანამშრომლებს - საგადასახადო კანონმდებლობა, 3 კვირა;
- შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ჩატარდა ტრენინგი სამომხმარებლო ბაზარზე ახალი სისტემით ნიშანდებული/მარკირებული პროდუქციის იდენტიფიკაციის/ მონიტორინგის განსახორციელებლად მოწოდებული აპარატურის (სიქპაშობაილი) მოხმარებაზე;
- განხორციელდა პირადი საგადასახადო მრჩევლების გადამზადება და მომსახურების ხარისხის კვლევა.

პროფესიული გადამზადების ტრენინგები ასისტენტებისა და სტაჟიორებისათვის:

- 2013 წელს სწავლების თეორიული კურსი გაიარეს შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა



უბნის საგადასახადო ოფიცერი



სტრუქტურული ერთეულების სტაჟიორებმა:

- აუდიტის დეპარტამენტის ასისტენტები - საგადასახადო კანონმდებლობა - 3-თვიანი სასწავლო კურსი;
- მომსახურების დეპარტამენტის უბნის ოფიცერთა სამმართველოს სტაჟიორები საგადასახადო კანონმდებლობა - 5-კვირიანი კურსი თითოეული ჯგუფისათვის (სულ 5 ჯგუფი: 3 - თბილისი, 1 - ქუთაისი, 1 - ბათუმი);
- საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვები პუნქტების სტაჟიორები (მებაჟე-ოფიცერი, ფიტოსანიტარი, ვეტერინარი, სანიტარი) სასწავლო კურსი საბაჟო კანონმდებლობა - 5-კვირიანი კურსი თითოეული ჯგუფისათვის (სულ 4 ჯგუფი);
- საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების ეკონომიკური ზონის სტაჟიორები - საბაჟო კანონმდებლობა - 5-კვირიანი კურსი თითოეული ჯგუფისათვის (სულ 2 ჯგუფი).



გაკე -საბურთალოს სერვისცენტრი

შემოსავლების სამსახურში პრაქტიკის გავლის ორგანიზება:

- პროფესიული ზრდის/სწავლის დონის ამაღლებისა და შემდგომში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების ხელშეწყობის მიზნით, აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის და 5 პროფესიული კოლეჯის (ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე) სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ გაეგლოთ პრაქტიკა შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში;
- შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში (საბაჟო დეპარტამენტი, აუდიტის დეპარტამენტი, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი, მომსახურების დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი, დავების დეპარტამენტი) პრაქტიკა გაიარა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისა და პროფესიული კოლეჯის 308 სტუდენტმა.




მომსახურების ხარისხის ამაღლება

- დამტკიცდა მომხმარებელთა მომსახურების სტანდარტი სერვისცენტრების და საინფორმაციო-სატელეფონო ცენტრის თანამშრომლებისათვის;
- პირადი საგადასახადო მრჩეველის მომსახურების კვალიფიციურად შესრულებისათვის შემუშავდა პირადი საგადასახადო მრჩეველის მომსახურების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქცია და გადასახადის გადამხდელთან ურთიერთობისა და ეფექტური მომსახურების სტანდარტი;
- ჩატარდა ტრენინგები აქციზური მარკების მომხმარებელთათვის აღრიცხვის ახალ სისტემაში დარეგისტრირებასა და მოხმარებაზე;
- 2013 წლის განმავლობაში განხორციელდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის 3282 დოკუმენტის დადასტურება, (მათ შორის: ავტომატურად - 691; ადგილზე გასვლით - 2591. დაჯარიმდა - 189. ჯარიმის ოდენობამ სულ შეადგინა - 214663,1 ლარი), ხოლო საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის განადგურების - 118 შემთხვევა;
- 2013 წელს აღწერილი/განახლებული იქნა 83096 გადასახადის გადამხდელის ობიექტების შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, საქართველოს მასშტაბით მარკირებულ იქნა (გაიკრა ე.წ. „სტიკერები“ -წებოვანა, რომელზედაც დატანილია უბნის ოფიცირისა და შესაბამისი სექტორის უფროსის საკონტაქტო რეკვიზიტები) - 44193 ობიექტი.
- **სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები:** 2013 წელს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი მიენიჭა 2833 გადამხდელს, მცირე ბიზნესის სტატუსი - 8189-ს, მიკრო ბიზნესის სტატუსი - 4602-ს;
- 2013 წლის განმავლობაში მომსახურების დეპარტამენტის მიერ 119 გადამხდელის საიმპორტო საქონელს მიენიჭა ჰუმანიტარული დახმარების სტატუსი, 398-ს - გრანტის სტატუსი. ამასთანავე, 8 ორგანიზაციას მიენიჭა საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი;
- ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ სხვადასხვა ქვეყანასთან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, გაიცა 846 ცნობა. ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობისა და გაზის მილსადენებთან დაკავშირებით გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროექტების მონაწილეზე ან წილის მფლობელზე, საოპერაციო კომპანიაზე, ტვირთის გამგზავნზე ან მათ აფილირებულ პირზე გაიცა დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით სარგებლობის დამადასტურებელი 46 სერტიფიკატი;
- 2013 წელს გაიცა სათამაშო ბიზნესის 111 ნებართვა, 558 გადამხდელს გამოეყო სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ნუმერაციის ველი;
- 2013 წლის იანვრიდან დაიწყო აქციზური მარკების აღრიცხვის ახალი სისტემის გამოყენება. ამ პერიოდში აღრიცხვის ახალ სისტემაში სრულად ჩაერთო ადგილობრივი და იმპორტირებული თამბაქო, მიმდინარე წლის მარტიდან კი - ალკოჰოლისათვის განკუთვნილი ის ნაწილი, რომლის მარაგიც იწურება შემოსავლების სამსახურის საცავში. კომპანია "SICPA Security Solutions Georgia"-ს მიერ დამონტაჟებული დანადგარების საშუალებით მიმდინარეობდა და გრძელდება ადგილობრივი ლუდის საწარმოებისათვის პროდუქციის მარკირება არამატერიალური ფორმით. გაწეულ იქნა ორგანიზაციული სამუშაო შემოსავლების სამსახურის შერჩეული პირის - კომპანია "SICPA Security Solutions Georgia"-ს მიერ აქციზური მარკების (სულ: 523 687 099 არამატერიალური და მატერიალური აქციზური მარკა) გაცემის განსახორციელებლად, რის შესაბამისადაც შესწავლილი და დადასტურებულია 447 შეკვეთა

აქციზური მარკების მიღებაზე. ორგანიზება ჩაუტარდა ექსპორტის სასაქონლო ოპერაციით გასატანი აქციზური მარკების ნიშანდებას-დალუქვას - სულ 202 განაცხადი;

- კომპანია "SICPA Security Solutions Georgia"-სთან პარალელურად, შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 63 748 066 ცალი აქციზური მარკის გაცემა, რის შესაბამისადაც დაკმაყოფილდა გადამხდელთა 1002 განაცხადი აქციზური მარკების მოთხოვნაზე.
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში განხორციელდა Privé სტატუსის მქონე პირთა იდენტიფიცირება, რაც გამორიცხავს პირადი საგადასახადო მრჩევლის არაინფორმირებულობას შემოსავლების სამსახურში „კლიენტის“ მიერ რეგისტრირებულ მოთხოვნაზე/წერილზე;
- ტიპოგრაფიული წესით დაიბეჭდა სარეკლამო ბუკლეტები და ხელშეკრულებები;
- Privé სტატუსით სარგებლობს 300 კომპანია, უმეტესწილად გაფორმებულია 2-3 წლიანი კონტრაქტები.



გაფორმების ეკონომიკური ზონა «თბილისი»



ქუთაისის სერვისცენტრი



გაფორმების ეკონომიკური ზონა «ფოთი»



გაფორმების ეკონომიკური ზონა «თბილისი»



გაფორმების ეკონომიკური ზონა «თბილისი»



გლდანი-ნაძალადევის სერვისცენტრი



გორის სერვისცენტრი



საბაზო გამშვები პუნქტი «ყაზბეგი»